განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს თამარისის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლელა ჯაში
წევრი:
ნათია ფხალაძე

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს თამარისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	446966025

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ბათუმი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, რისმაგ გორდეზიანის ქუჩა, N 3ა
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tamarisi1.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tamarisibat@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის, ლაშა მარგიშვილის ბრძანება MES 9 26 0000210175, 24/02/2026 - შპს თამარისის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	მონიტორინგი განისაზღვრა დოკუმენტების შესწავლით

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის, ლაშა მარგიშვილის ბრძანების MES 9 26 0000210175, 24/02/2026 - შპს თამარისის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ - საფუძველზე, განხორციელდა შპს თამარისის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) გეგმური მონიტორინგი, რომელიც გულისხმობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და ,,დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას.

სკოლის მონიტორინგი განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების განხილვას. დეტალურად იქნა შესწავლილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და განვითარების საერთო მიმართულებებს. აღნიშნული კომპონენტების განხილვამ შესაძლებელი გახადა შეფასებულიყო, რამდენად მკაფიოდ არის ფორმულირებული სკოლის საგანმანათლებლო მიზნები და რამდენად შეესაბამება ისინი საგანმანათლებლო მოთხოვნებს.

მონიტორინგის პროცესში ყურადღება დაეთმო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის საკითხსაც - შესწავლილი იქნა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. შეფასდა, რამდენად თანმიმდევრული და რეალისტურია დაგეგმილი საქმიანობები, რამდენად ასახავს სტრატეგიული დოკუმენტები სკოლის განვითარების საჭიროებებს. ასევე, ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ რამდენად არის სტრატეგიული მიზნები დაკავშირებული სკოლის მისიასა და ხედვასთან.

ექსპერტებმა განიხილეს მე-4 სტანდარტით - მოსწავლეთა მხარდაჭერა - დადგენილი რეგულაციები. კერძოდ, რამდენად იცავს სკოლა მოსწავლეთა უფლებებს და უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური მიმართულებით. გაანალიზდა შიდა რეგულაციების გამჭვირვალობა, ჩარიცხვა-მობილობისა მექანიზმები. შეფასდა, როგორ უწყობს სკოლა ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას, აკადემიურ განვითარებას, კარიერულ დაგეგმვას და დამატებითი სერვისების მიწოდებას.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
210	191

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც სრულად გაიზიარეს ექსპერტებმა. შედეგად, დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზები (ინდიკატორი N1.1.1.6. და NN1.2.2.3.) აღმოიფხვრა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*დაწესებულების არსებული მისია ვრცელია და მოიცავს რამოდენიმე მიმართულებას, რაც ართულებს მის აღქმას და ამცირებს მთავარ აქცენტებზე კონცენტრაციას. მიზანშეწონილია მისიაში ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა, რათა უფრო ნათლად წარმოჩინდეს სკოლის პრიორიტეტები*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.1.5.	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას*	*მოსწავლეთა მხრიდან არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები და ინიციატივები თითქმის არ გამოვლენილა, მიზანშეწონილია, რომ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დახმარებით თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობების უკეთ გაცნობის მიზნით სკოლამ დაგეგმოს შეხვედრები თვითმმართველობის წევრებთან, მათთან ერთად გამოკითხვისა თუ ინფორმაციის შეგროვების ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით მოიკვლიოს სკოლის მოსწავლეთა ინტერესები და ხელი შეუწყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას.*
ინდიკატორი N4.2.2.1.	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის*	*დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ აქვს გაფორმებული მემორანდუმები პროფესიულ სასწავლებლებთან, მიზანშეწონილია, რომ მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების*

		მეტად ხელმისაწვდომობის მიზნით გააფორმოს მემორანდუმები პროფესიულ სასწავლებლებთან.
ინდიკატორი N4.2.2.3.	*სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს*	*სკოლას არ აქვს წერილობითი ფორმით, წინასწარ შემუშავებული კითხვარების დახმარებით მოსწავლეთა გამოკითხვისა და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პრაქტიკა. მიზანშეწონილია, რომ მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

შპს თამარისის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მიზნად ისახავს აღზარდოს პასუხისმგებლიანი, ღირებულებებზე დაფუძნებული, ჯანსაღი ცხოვრების წესის მქონე და აქტიური მოქალაქეები, რომლებიც აცნობიერებენ საკუთარ როლს ოჯახის, საზოგადოების და ქვეყნის წინაშე. **უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მისია ვრცელია და მოიცავს რამოდენიმე მიმართულებას, რაც ართულებს მის აღქმას და ამცირებს მთავარ აქცენტებზე კონცენტრაციას. მიზანშეწონილია მისიაში ძირითადი მიმართულებების გამოკვეთა, რათა უფრო ნათლად წარმოჩინდეს სკოლის პრიორიტეტები (რჩევა).** შპს „თამარისის“ ხედვაა იყოს თანამედროვე, ღირებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სივრცე და იგი სრულ კორელაციაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა განსაზღვრავს მის როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიის მიხედვით, სკოლა ქმნის უსაფრთხო, პოზიტიურ და

მზრუნველ გარემოს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ კეთილდღეობას. მასში გამოკვეთილია პიროვნული და მოქალაქეობრივი განვითარების მიმართულება — სკოლა მიზნად ისახავს აღზარდოს პასუხისმგებლიანი, ღირებულებებზე დაფუძნებული და აქტიური მოქალაქე, რაც პირდაპირ უკავშირდება სოციო-კულტურული გარემოს ფორმირებას. ხედვა ავითარებს აღნიშნულ მიდგომას და ხაზს უსვამს თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს უწყობს თვითრეალიზებული და ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, სკოლის მისია და ხედვა განსაზღვრავს მის როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

შპს თამარისის დირექტორის N01-02/27, 10.09.2024წ. ბრძანების - ,,სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სასკოლო საზოგადოების წევრებით (სკოლის დირექცია, მშობელი, მოსწავლე). ჯგუფს დაევალა სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება. აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად დაწესებულება ხელმძღვანელობდა ,,შპს თამარისის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის N01-01/28, 10.09.2024წ. ბრძანებით. სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, რომელიც გამოიყენა სკოლის ფილოსოფიის პროექტის შედგენისას. ექსპერტებმა განიხილეს სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაციაც - სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, 13.09.2024წ. და დარწმუნდნენ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შედგენილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

როგორც უკვე აღინიშნა (1.1.1.3 ინდიკატორის აღწერილობა), სკოლის ფილოსოფია შემუშავდა სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობის საფუძველზე, ვინაიდან პროცესში განხორციელდა მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა, რამაც უზრუნველყო მათი ინტერესის და საჭიროების ასახვა სკოლის მისიაში, ხედვაში და ღირებულებებში. მიღებული შედეგები განიხილა სამუშაო ჯგუფმა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სკოლის ფილოსოფია, რომელიც ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და მოლოდინებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

,,შპს თამარისის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის N01-01/28, 10.09.2024წ. ბრძანების მე-12 მუხლი განსაზღვრავს ინფორმაციის გაზიარების მექანიზმეს. სკოლის ფილოსოფიის განმსაზღვრელი დოკუმენტების (მისია, ხედვა და ფილოსოფია) გაზიარებისათვის გამოყენებულია შემდეგი საშუალებები: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, სკოლის სტენდი/საინფორმაციო დაფა. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულის სკოლის ვერ. გვედზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შპს თამარისი არ შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინს. კერძოდ, სახელწოდება არ იძლევა პირდაპირ და მკაფიო წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რაც შესაძლებელია დაბრკოლებად იქცეს ინფორმაციის აღქმის და იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმ პირებისთვის, ვინც პირველად ეცნობა სკოლას. ***<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლის სახელწოდება შეიცვალა და ამჟამად, იწოდება როგორც შპს სკოლა თამარისი. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც</u>***

<u>შეფასებული იყო უარყოფითად, გადავიდა სრულ შესაბამისობაში.</u> **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს თამარისის დირექტორის N01-02/27, 10.09.2024წ. ბრძანება - ,,სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ";
- ,,შპს თამარისის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანება N01-01/28, 10.09.2024წ.;
- ,,სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, 13.09.2024წ.;
- კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   ,,შპს თამარისის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის ბრძანება N01-01/28, 10.09.2024წ. განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გაზიარების მექანიზმებს. კერძოდ, მასში განსაზღვრულია სასკოლო პოლიტიკის შემუშავების პროცესის - მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის მექანიზმები და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

   შპს სკოლა თამარისის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031 წლები) სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს. იგი განხილულ და დამტკიცებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი N1, 02.09.2024წ.). მასში ასახულია სტარტეგიული მიზნების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სკოლის მისიიდან გამომდინარე, იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება. ერთ-ერთი მთავარი არის სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, რაც გულისხმობს თანამედროვე

სასწავლო მეთოდების დანერგვას, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განვითარებას და შეფასების სისტემის დახვეწას. ასევე, მნიშვნელოვანი მიმართულებაა ადამიანური რესურსის განვითარება და მოიცავს როგორც მასწავლებლების პროფესიულ ზრდას, ტრენინგებსა და გადამზადებას, ისე ადმინისტრაციული პერსონალის გაძლიერებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026წ.), რომელიც ეფუძნება 2024-2031 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ორიენტირებულია მასში გამოკვეთილი მიზნების შესრულებაზე. კერძოდ, სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში ასახულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების, ადამიანური რესურსების განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფის და სხვა საკითხები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმაში, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილია აქტივობები, ნათლად არის წარმოდგენლი შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები/სტრუქტურულ ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,შპს თამარისის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სკოლის დირექტორის ბრძანება N01-01/28, 10.09.2024წ.;
- შპს სკოლა თამარისის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031 წლები);
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   შპს თამარისის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება N01-01/28, 10.09.2024წ.), მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით - რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის თანახმად, სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს პედაგოგიური საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში ასევე, შეიძლება გამოყენებული იქნას ანგარიშების წარდგენის მეთოდი. ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს (პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5, 23.06.2025) და ასევე, სკოლის მიერ დამტკიცებულ, შევსებულ ფორმას შესრულების სტატუსების მითითებით და დარწმუნდნენ, რომ სამოქმედო გეგმის შეფასება ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

როგორც უკვე აღინიშნა, მეთოდოლოგიის თანახმად, სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს პედაგოგიური საბჭო. 2024-2025 წწ. სამოქმედო გეგმის განხილვისას პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა, რომ სამოქმედო გეგმის ანალიზი გამოქვეყნდებოდა ვებ. გვერდზე, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ **ანგარიში შედგენილია სკოლის მიეს დადგენილი წესის შესაბამისად, იგი საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის.** ***<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება (ე.წ. „სქრინი“), რომლის საფუძველზე გაირკვა, რომ 2024-2025წწ, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებულია სკოლის ვებ, გვერდზე და შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, გადავიდა სრულ შესაბამისობაში.***</u> **ინდიკატორი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიდან გაირკვა, რომ სკოლის მიერ დაგეგმილი გარკვეული აქტივობები არ შესრულდა. მაგალითად, როგორც პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმიდან (N5, 23.06.2025) ირკვევა, მასწავლებელთა ჩართვა პროფესიულ კონფერენციებში ვერ მოხერხდა, ასევე, არ განხორციელდა სკოლებთან და უნივერსტეტებთან თანამშრომლობა - ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებები პრიორიტეტულად ჩაითვალა და დაისახა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს თამარისის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება N01-01/28, 10.09.2024წ.);
- 2024-2025 სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს (პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5, 23.06.2025);
- შპს სკოლა თამარისის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031 წლები);
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა შიდა რეგულაციების მეშვეობით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და შესაბამისი გარანტიების რეალიზებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი განსაზღვრავს სასკოლო ცხოვრების მარეგულირებელ ძირითად ნორმებს, მათ შორის: ზოგად დებულებებს, სამუშაო კვირის ხანგრძლივობასა და სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დროს, შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, შრომის პირობების დაცვის წესს, დასაქმებულის წახალისების სახეებსა და გამოყენების წესს, მოსწავლის წახალისების ფორმებსა და გამოყენების წესს, დისციპლინური დევნის შესახებ ინფორმაციას, დასაქმებულის მიერ დისციპლინურ გადაცდომასა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოს შესახებ ინფორმაციასა და დისციპლინური წარმოების დაწყების პროცედურებს, დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობასა და სხდომის მიმდინარეობის წესს, დისციპლინური კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს, დისციპლინური სახდელის დაკისრების/დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის წესს, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს, დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნისა და მოქმედების ვადის შესახებ ინფორმაციას, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და მათზე განსაზღვრული კონკრეტული

პასუხისმგებლობის სახეებს, დასაქმებულის და მოსწავლის მატერიალური პასუხისმგებლობის წესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმებს, ასევე სკოლაში შემოსული განცხადების / საჩივრის განხილვის წესს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მოსწავლის, მშობლისა და კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, სწავლის საფასურს, ხელშეკრულების მოქმედების ვადებსა და მისი შეწყვეტის წესს, დავების მოგვარებისა და მათი გადაწყვეტის წესს, და დასკვნით დებულებებს. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი - რომელიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს - და მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ხელშეწყობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები: შინაგანაწესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი და სკოლის ჩარჩო დოკუმენტი – მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით, რომელიც უზრუნელყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციას, საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ის განთასებულია სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს შეუზღუდავ წვდომას აღნიშნულ დოკუმენტებზე **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მშობელს. აღნიშნული ხელშეკრულებები განსაზღვრავს ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, სწავლის საფასურს, ხელშეკრულების მოქმედების ვადებსა და მისი შეწყვეტის წესს, დავების მოგვარებისა და მათი გადაწყვეტის წესს, და დასკვნით დებულებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების წესი, რომელშიც გაწერილია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე

მოსწავლეთა ჩარიცხვის, მათ შორის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობით ჩარიცხვის რეგულაცია. ასევე განსაზღვრულია წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. დოკუმენტი ადგენს პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის პირობებს, ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალსა და უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების პროცედურით მოსწავლის ჩარიცხვის წესს. ამავე დოკუმენტშია განსაზღვრული საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მონიტორინგის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების წესი, შესწავლილ იქნა ბრძანებები, რომლებსაც სკოლა გამოსცემს მოწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და კლასის/საფეხურის დაძლევისას. აღნიშნული ბრძანებები გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობისა და ზემოაღნიშნული წესის საფუძველზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში ირიცხებიან მოსწავლეები უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე. აღნიშნული მოსწავლეები სასწავლო პროგრამას ძლევენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების დანართი N1-ით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" მე-7 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა თითოეული მოსწავლისთვის შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ საგნებში, რომლებთან შესაბამისობაც ვერ დადგინდა უცხოეთში მიღებული განთლების აღიარების პროცედურის საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

   სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და სხვა მარეგულირებელ აქტებში. აღნიშნული დოკუმენტები განთასებულია სკოლს ვებგვერდზე, შესაბამისად, ის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გარდა აღნიშნულისა, დამრიგებლების მიერ ხდება მშობლებისა და მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება როგორც სკოლის მარეგულირებელი ნორმების ასევე წლის განმავლობაში გამოცხადებული ან/და სკოლის მიერ ორგანიზებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**
   სკოლა ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ასევე სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდს. აღნიშნული არხებით რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასწავლო პროცესის, სკოლის ინიციატივების, პროექტებისა და საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. აღნიშნულ არხებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი და არადისკრიმინაციული. სხვადასხვა სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრებისა და დამრიგებლების მიერ ორგანიზებული მშობელთა კრებების ფარგლებშიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი;
2. მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის ბრძანებები;
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები; პირველკლასელთა ადაპტაცია; სსსმ

მოსწავლეთა ადაპტაცია; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია; საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია; მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღე; წარმატებული ადაპტაციის ნიშნები; რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას; დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები; დოკუმენტი ხელს უწყობს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და აადვილებს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობას. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

   სკოლა მოსწავლის ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესში ჩართვისთანავე მიმართავს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს. სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს სასწავლო პროცესი ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს და მოსწავლეებს. ასევე, მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს. ახალ მოსწავლეს პირველივე გაკვეთილზე დამრიგებელი აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას; სკოლა უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ.

   სკოლა აფასებს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის კუთხით არსებულ გამოწვევებს და ადგენს მიზეზებს. დეზადაპტაციის შემთხვევაში კი მიმართავს სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესით განსაზღვრულ ღონისძიებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაცით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლასა და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, რომელზე წვდომაც აქვს თითოეულ მშობელს და ხელს უწყობს მოსწავლისა და მშობელის დროულ ინფორმირებას. გამოცდების წინა პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით მოსწავლეებს უტარდებათ კონსულტაციები ეძლევათ რეკომენდაციები. სწავლაში ჩამორჩენის შემთხვევაში იქმნება სარემედიაციო პროგრამა. სკოლა დამრიგებლების დახმარებით პერიოდულად აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

   სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების შესაძლებლობების, აგრეთვე სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდების ჩატარების პირობების შესახებ. აღნიშნული საკითხები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასკოლო სახელმძღვანელოებით უსასყიდლოდ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

შპს თამარისის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმების შესწავლისას გაირკვა, რომ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სასწავლო წლის დასაწყისში შეიქმნა სასკოლო კლუბი „თამარი“, რომლის მიზანიცაა ახალგაზრდების, როგორც აქტიური მოქალაქეების გაძლიერება, კლუბური ინიციატივების განხორციელების, მოზარდებში სამოქალაქო უნარებისა და პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა. ამავე ოქმში აღნიშნულია, რომ შეხვედრაზე მონაწილეებმა გამოთქვეს ინიციატივა წლის განმავლობაში შეიქმნას სხვადასხვა სახის კლუბი (კერძოდ, რელიგიის ისტორიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემსწავლელი) და დაიგეგმოს მრავალფეროვანი ღონისძიებები. სკოლის წარმომადგენლებთან საუბრისას გაირკვა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს, გარდა ზემოაღნიშნული კლუბისა, მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით, დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრები თემაზე „რელიგიის ისტორია “, რომელსაც უძღვებოდა ამავე სკოლის სათანადო კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი. თუმცა, აქვე აღინიშნა ისიც, რომ მოსწავლეთა მხრიდან არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვა სახის ინიციატივები თითქმის არ გამოვლენილა და შესაბამისად არც განხორციელებულა.

<u>სკოლას მიეცა რჩევა, რომ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დახმარებით თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობების უკეთ გაცნობის მიზნით დაგეგმოს შეხვედრები სკოლის თვითმმართველობის წევრებთან, მათთან ერთად გამოკითხვისა თუ ინფორმაციის შეგროვების ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით მოიკვლიოს სკოლის მოსწავლეთა ინტერესები და ხელი შეუწყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას.</u> **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (დამრიგებლების მიერ ორგანიზებული მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, ვიზიტები სკოლის დირექციასთან) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა. უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მიიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გეგმავს წინასწარ შემუშავებული კითხვარების დახმარებით მშობელთა კმაყოფილების კვლევას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. რემედიაციის პროგრამა თანდართული დოკუმენტაციით (საჭიროების იდენტიფიცირების ფორმა, სკრინინგული ტესტის ნიმუში, ანალიზის შედეგები...)
4. თვითმმართველობის ოქმები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**
   კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამა, რომელში მოცემული ინფორმაცია ასახულია ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაშიც. მოცემული პროგრამის მიხედვით სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით პედაგოგები მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და

სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა ეტაპობრივად აწყობს ხოლმე შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. სკოლას ამ ეტაპისთვის არ აქვს პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმები, თუმცა გეგმავს მათთან თანამშრომლობასა და კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ვიზიტების განხორციელებას სხვადასხვა ტიპის საწარმოებში. **<u>სკოლას მიეცა რჩევა, რომ მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მეტად ხელმისაწვდომობის მიზნით გააფორმოს მემორანდუმები პროფესიულ სასწავლებლებთან.</u>** **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

   სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გეგმავს აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობის გაზრდას. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში საშუალო საფეხურის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის პროფესიული განვითარების მიმართულებით ინფორმაციის მიწოდებისა და მათი ინტერესების მოკვლევის პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

   აღნიშნული მიმართულებით გაწეული მომსახურების შეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა დიალოგისთვის იყენებს მშობელთა კრებებსა და კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეებთან კომუნიკაციისას გამოკვეთილ ძირითად მიგნებებს, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლას არ აქვს ამ მიმართულებით წერილობითი ფორმით, წინასწარ შემუშავებული კითხვარების დახმარებით მოსწავლეთა გამოკითხვისა და

გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პრაქტიკა. **<u>სკოლას მიეცა რჩევა, რომ მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით უზრუნველყოს მოსწავლეთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.</u> ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**
   სკოლას მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. დოკუმენტი - სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც აღწერს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმებსა და სკოლის როლს ამ პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

   მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში არ ირიცხება არცერთი სპეციალური საგანმანათლობლო საჭიროების მქონე მოსწავლე. შესაბამისად, **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებაა გახანგრძლივებული სწავლება, რომელიც არ საჭიროებს თანხმობას შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან. სხვა დამატებით სერვისებს სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს. შესაბამისად, **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება - გახანგრძლივებული სწავლება - ხორციელდება შპს „ეტალონთან'' გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების საგანია სკოლის ბაზაზე პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით მოსწავლეების მომზადება გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფში საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, არაუგვიანეს 17:00 საათამდე. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ეტალონი'' ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების ნორმები. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მომსახურება არასავალდებულო ხასიათისაა, ხორციელდება ნებაყოფლობითობის საფუძველზე, მშობლების სურვილის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი გამოთქვამს სურვილს მოსწავლემ მიიღოს გახანგრძლივებული სწავლების მომსახურება, მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მხარეთა უფლება-მოვალეობების, სწავლის ღირებულებისა და ანაზღაურების პირობების, მხარეთა პასუხისმგებლობების, ხელშეკრულების შეწყვეტის, დავების განხილვის წესის, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და დამატებითი პირობების შესახებ. ხელშეკრულებების გაფორმების შემდგომ სკოლა შპს „ეტალონს'' აწვდის იმ მოსწავლეთა სიას, რომლებსაც უნდა გაეწიოს შესაბამისი მომსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული სერვისი უცხოენოვანი მოსწავლეებისათვის მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების იმ არსებული ნორმების დაცვით, რომელიც აქვს სკოლას განსაზღრული შიდა რეგულაციებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შპს „ეტალონსა “ და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
2. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფში ჩარიცხვის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 07.04.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: